„დამტკიცებულია“

ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ

20.12.2023 წლის №01-03/15 ბრძანებით

ცვლილება შევიდა: 2024 წლის 05 მარტის N01-03/05 ბრძანებით

ცვლილება შევიდა: 2026 წლის 16 ივნისის N15-06/02 ბრძანებით

ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძსაის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის''

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სასწავლო პროცესის მარებულერებელი წესის რეგულირების სფერო

1. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში „წესი“), განსაზღვრავს ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' (შემდგომში „ტბელის უნივერსიტეტი“) სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს, აკადემიურ პირობებსა და ფინანსურ ვალდებულებებს, სტუდენტის უფლება- მოვალეობებსა და ქცევის ნორმებს, აგრეთვე სასწავლო პროცესის რეგულირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი რეგულირდება „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სხვა წესით.
3. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში წინამდებარე „წესი“-ს რომელიმე მუხლის ან პუნქტის არათავსებადობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტს.
4. წინამდებარე „წესი“-ს რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილად გამოცხადება არ იწვევს ამ „წესი“-ს ბათილობას.

თავი II

მუხლი 2. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - აკადემიური დავალიანების შემთხვევისათვის დაწესებული გადასახადი;

ბ) აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო კურსებზე დარეგისტრირება;

გ) ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც სრულდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

დ) მაგისტრატურა - აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, რომელიც სრულდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

ე) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის საჭირო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ვ) უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ზ) მობილობა - სტუდენტის მოძრაობა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უსდ-ში;

თ) სასწავლო წელი - პერიოდი, რომელიც მოიცავს შემოდგომისა და გაზაფხულის სასწავლო სემესტრებს;

ი) სასწავლო სემესტრი - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება სასწავლო პროგრამა;

ლ) შიდა მობილობა - საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში.

მუხლი 3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის რეგისტრაციას „ტბელის უნივერსიტეტი“-ში.
2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია „ტბელის უნივერსიტეტი“-ში მიმდინარეობს რექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
3. რეგისტრაციისათვის აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტებია: ა) განცხადება;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ

სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის).

4. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ გამოიცემა „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანება აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ.
5. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადებით სტატუსის შეჩერების თხოვნა; გ) აკადემიური შვებულება;

დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ე) უცხოეთში სწავლის გაგრძელება, სასწავლო პროგრამის დოკუმენტურად დადასტურებული ვადით;

ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ზ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (დოკუმენტურად დადასტურებული);

თ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობა, ორსულობა და ახალშობილის მოვლა (დოკუმენტურად დადასტურებული);

ი) სხვა საპატიო მიზეზი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, რექტორის მიერ კონკრეტული განცხადების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

კ) სტუდენტის მიერ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა; ლ) კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

2. საკუთარი სურვილით სტატუსის შეჩერების თაობაზე, სტუდენტმა, განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში (გარდა დოკუმენტურად დადასტურებული განსაკუთრებული შემთხვევებისა).
3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის/ფინანსური დავალიანების მოტივით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს სტატუსი აღუდგებათ, მხოლოდ,

ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდგომ, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ოთხი კვირის მანძილზე.

4. სტუდენტის სტატუსის აღდგენისას სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
5. ნებისმიერი მოტივით სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდი არ შედის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლების მაქსიმალურ ვადაში.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება „ტბელის უნივერსიტეტი“-სა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია: ა) პირადი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება შესაბამის საფეხურზე;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ან დამატებითი დროის (სემესტრ(ებ)ის) მაქსიმალურ ვადაში;

დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ზ) ტბელის უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებისა და ეთიკური ნორმების უხეში დარღვევა;

თ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ი) გარდაცვალება.

2. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებსაც დარჩათ აუთვისებელი კრედიტები (აკადემიური დავალიანება), იწყება საქმისწარმოება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. დავალიანების მქონე სტუდენტს სტატუსის შეწყვეტამდე აქვს უფლება მიმართოს „ტბელის უნივერსიტეტი“-ს და მოითხოვოს დამატებითი სემესტრი აუთვისებელი კრედიტების ათვისების მიზნით. ასეთ სტუდენტს, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, ეძლევა სწავლის გახანგრძლივების, ანუ დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გონივრული ვადა.
3. დამატებითი სასწავლო წლის სტუდენტი ვერ სარგებლობს „ტბელის უნივერსიტეტი“-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის
„დ“, „ზ“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის წესისაგან გამონაკლისი

შესაძლებელია განისაზღვროს „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში (წინასწარ, თუ ამის შესაძლებლობა არის) უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში, კანონმდებლობის თანახმად, სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა

1. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სხვა უსდ-დან „ტბელის უნივერსიტეტი“-ში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, დადგენილი წესის შესაბამისად, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს მიერ დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე.
3. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.
4. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა და სასწავლო სემესტრის განსაზღვრა, ხორციელდება მის მიერ სხვა უსდ-ში ათვისებული კრედიტებისა და „ტბელის უნივერსიტეტი“-ში სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების თავსებადობისა და სასწავლო კურსების წინაპირობათა გათვალისწინებით.

მუხლი 7. შიდა მობილობა

1. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა დასაშვებია უმაღლესი აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ (სწავლების ვადაში არ შედის სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდი).
2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება ხორციელდება „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული შიდა მობილობის ვადების ფარგლებში. სტუდენტის შიდა მობილობა, აღიარებული კრედიტების მითითებით, ფორმდება რექტორის ბრძანებით.
3. სტუდენტისათვის ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის აუცილებელი წინაპირობაა მიმღები ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.
4. შიდა მობილობაში მონაწილეობა არ ეზღუდება, მოცემული მომენტისათვის შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტს.
5. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი აკადემიური განათლების მხოლოდ ერთი საფეხურის ფარგლებში.
6. შიდა მობილობის ვადები დგინდება „ტბელის უნივერსიტეტის“ რექტორის მიერ მიღებული აქტით.

7. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ ,,ტბელის უნივერსიტეტი'' შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი''-ს.
8. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის, ასევე, შიდა მობილობის შემთხვევაში ამა თუ იმ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი დგინდება, აღიარებული კრედიტებისა და მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების თავსებადობის, ასევე სასწავლო კურსების წინაპირობათა გათვალისწინების შესაბამისად.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესი რეგულირდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,უსდ-დან სხვა უსდ-ში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით.
2. ერთიანი ეროვნული/საერთო გამოცდების შედეგებით ჩარიცხულ სტუდენტებს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს ერთიანი ეროვნული/საერთო გამოცდების გავლის გარეშე, ერთი უსდ- დან სხვა უსდ-ში გადასვლის წესის შესაბამისად.
3. ერთიანი ეროვნული/საერთო გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებს, უნივერსიტეტიდან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს, სტუდენტის სტატუსი აღუდგება ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენისას სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება ამავე „წესი"-ს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციის შესაბამისად, რომელსაც ადგენს უნივერსიტეტის მობილობის კომისია, სტუდენტის მიერ მის შეწყვეტამდე ათვისებული კრედიტების აკადემიური ცნობის საფუძველზე.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გზით.
6. „ტბელის უნივერსიტეტი"-ში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სემესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის (სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების დასკვნა) და სასწავლო კურსების წინაპირობათა მოთხოვნების შესაბამისად.

თავი III. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 9. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება და ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით, აგრეთვე,

საკონსულტაციო და პრაქტიკულ საქმიანობაში;

2. უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
3. მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესახებ;
4. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
5. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო განრიგის შემუშავებაში;
6. შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი;
7. ისარგებლოს აკადემიური შვებულებით.

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

1. განუხრელად დაიცვას და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები, აგრეთვე, უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები;
2. გაიაროს დადგენილ ვადებში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია (აკადემიური დავალინებით წარმოშობილი კრედიტის გადასახადის ვალდებულების შემთხვევაში), პირადი რეკვიზიტების სიზუსტის დაცვით;
3. დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
4. გაუფრთხილდეს და იცავდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას, არ შეუქმნას საფრთხე სხვის უფლებებსა და ჯანმრთელობას;
5. დროულად აცნობოს დეკანატს უნივერსიტეტში დაფიქსირებული ანკეტური მონაცემების (სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო, თუ სხვა უნივერსიტეტისა და სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პირადი ინფორმაცია) შეცვლის შესახებ;
6. შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;
7. დაესწროს ლექციებს, დადგენილ ვადებში შეასრულოს სემესტრის დასაწყისში წარდგენილი, სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაო;
8. ყოველი სემესტრის დასრულებისას უკლებლივ დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი ლიტერატურა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა წიგნის ღირებულების სახით;
9. უნივერსიტეტზე მატერიალური ზარალის მიყენების შემთხვევაში აანაზღაუროს იგი.

მუხლი 11. სტუდენტის ქცევის ნორმები

1. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

ბ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა, თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

გ) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში.

2. უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ხელშეკრულებით და დებულებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ შეიძლება განხორციელდეს დისციპლინური პასუხისმგებლობა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 12. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა რეგისტრაციის გავლა, რომელიც გულისხმობს „ტბელის უნივერსიტეტი"-ში ამ წესის მე-3 მუხლის მე–3 პუნქტის და მე-4 მუხლის მე–3 პუნქტის გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენას.
2. სტუდენტები ჩარიცხვის შემდგომ, ყოველი სემესტრის დასაწყისში განახორციელებენ ხელახალ აკადემიურ რეგისტრაციას.
3. სტუდენტის მიერ დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული და შემდგომ აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა, გამოიწვევს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

მუხლი 13. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ჩარიცხვა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ,,ტბელის უნივერსიტეტი''-ში ჩარიცხვა ხორციელდება, შესაბამისი უწყების მიერ განსაზღვრული წესით.
2. აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტის კანდიდატის/სტუდენტის „ტბელის უნივერსიტეტი"-ში ჩარიცხვის საკითხის განხილვის წინაპირობაა უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა, განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე, კონკრეტული პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მისი გამოცემიდან ოთხი თვის ვადაში, რექტორისა და ჩარიცხვის უფლებამოსილ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებითა და რექტორის ბრძანებით.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას

და აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები და /თავისუფალი სასწავლო კურსები.

მუხლი 15. აკადემიური პირობები

1. სასწავლო წელი შედგება ორი - შემოდგომისა და გაზაფხულის სასწავლო სემესტრებისაგან, თითოეულის ხანგრძლივობაა არაუმეტეს 20 კვირა. სადაც 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას, ხოლო 5 კვირა დასკვნით და დამატებით საგამოცდო სესიებს.
2. ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციების, სააუდიტორიო მეცადინეობების, სასესიო პერიოდებისა და არდადეგების ვადები.
3. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში საშუალოდ 30 კრედიტს). ,,ტბელის უნივერსიტეტი''-ში ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელი სამუშაო.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
5. სტუდენტის სემესტრული დატვირთვა მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ, აგრეთვე, დამოუკიდებელ მეცადინეობას, სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას, გამოცდებისათვის მომზადებას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას, მის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.
6. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტის მიერ, წერილობითი განცხადების ფორმით, უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მე–4 სემესტრისა, ძირითადი საგამოცდო პერიოდის დასრულებამდე. სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე გამოიცება „ტბელის უნივერსიტეტი“-ს რექტორის ბრძანება, დამატებით სპეციალობაზე სტუდენტთა რეგისტრაციის შესახებ. არჩეული დამატებითი სპეციალობის შეცვლა დასაშვებია მე–5 სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
7. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტს უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს ის სასწავლო კურსი, რომლის წინაპირობაა საგანი, რომელშიც მიღებული აქვს „F“ (ჩაიჭრა) შეფასება.
8. აკადემიური განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი

დოკუმენტი, კურსდამთავრებულს მიეცემა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტის შესრულების ფარგლებში.

9. აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში.
10. სტუდენტზე, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ შეძლებს პროგრამის სრულად შესრულებას, გაიცემა აკადემიური ცნობა მის მიერ უნივერსიტეტში შესწავლილი საგნებისა და შეფასებების, შესრულებული კრედიტების მითითებით.
11. დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის გადატანა საგამოცდო სესიისათვის დადგენილი ვადის მიღმა, გარდა იმ შემთხვევისა თუ სტუდენტს გააჩნია დადასტურებული საპატიო მიზეზით გამოცდაზე გამოუცხადებლობის საფუძველი, რომლის დროსაც სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება, მხოლოდ ადმინისტრაციის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, იმავე სემესტრის ფარგლებში.
13. ძირითად და განმეორებით გამოცდაზე დადასტურებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცდაზე დასაშვები ქულის მქონე სტუდენტს აღნიშნული აკადემიური დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა ეძლევა, მხოლოდ, მომდევნო სემესტრის სასესიო პერიოდში;
14. საგანში შეფასება „FX''-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა მოცემულ საგანში გამოცდაზე გასვლის უფლება – იმავე სემესტრში, განმეორებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;
15. საგანში - საბოლოო შეფასება „F''-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს საგანი, „ტბელის უნივერსიტეტი"-ს მიერ მოცემული მომენტისათვის დადგენილი დამატებითი საფასურის გადახდის პირობით, ანუ გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს ასათვისებელი კრედიტების ღირებულების გადახდას, გარდა, აღნიშნულისა საგნის ხელახლა შესწავლის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
16. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტს, რომელიც მიმდინარე სემესტრის სასწავლო/საგამოცდო სასესიო პერიოდს დაასრულებს მაღალი აკადემიური მოსწრებით, კერძოდ, მიიღებს ყოველ შესასწავლ დისციპლინაში 91 ქულას და მეტს, დაენიშნება სტიპენდია, რომლის ოდენობაც შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს;
17. სტუდენტს, რომელიც იღებს „ტბელის უნივერსიტეტი"-ის რექტორის მიერ დანიშნულ სტიპენდიას და დაიცავს სამეცნიერო-კვლევით კონფერენციაზე თავისი პროფილის შესაბამის თემას, სტიპენდიის ოდენობა განესაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით;
18. „ტბელის უნივერსიტეტი"-ის რექტორი უფლებამოსილია უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებზე გასცეს სტიპენდია განსხვავებული პირობებით."

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელება შესაძლებელი იქნება თავსებად პროგრამაზე, შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით.

მუხლი 17. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით, დაასრულოს სასწავლო პროგრამა დამატებითი სემესტრის ფარგლებში, ცალკეული საფეხურებისათვის განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებში;
2. დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება „ტბელის უნივერსიტეტი“-ს მიერ დადგენილი აქტის საფუძველზე, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში, საფასური განისაზღვრება მიმდინარე წელს დადგენილი ტარიფით;

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის განმეორებითი შესწავლისას ერთი ECTS კრედიტის ღირებულება განსაზღვრულია „ტბელის უნივერსიტეტი“-ს მიერ.

3. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრით (სემესტრებით) გათვალისწინებულ ვადებში, ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა აკადემიური ცნობა.

მუხლი 18. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უსდ-ში მიღებული შეფასებების „ტბელის უნივერსიტეტი“-ში აღიარება

1. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს სტუდენტების, აგრეთვე, მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხულთა მიერ საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში ათვისებული სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის და მიღებული შეფასებების აღიარება ხდება, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს სასწავლო პროგრამებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე რექტორის ბრძანებით.

მუხლი 19. სტუდენტის შეფასებისა და გამოცდების ჩატარების წესები

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.

2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
3. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს და ა.შ. არ შეიძლება სტუდენტის შეფასება, მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.
4. შუალედური შეფასება მოიცავს:

ა) შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს კონკრეტული საგნის მასწავლებელი, რაც აისახება ამავე სასწავლო კურსის შეფასების აღწერაში;

ბ) მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი (წერითი დავალება, ტესტი, სიტუაციური ამოცანა, პრაქტიკული/თეორიული დავალება, კაზუსი და სხვა) და ზეპირი (ზეპირი მოსმენა, სემინარი, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, ზეპირი მოსმენის სხვა აქტივობა) გამოკითხვების ფორმით, გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

5. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

6. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, წერითი ან ზეპირი ფორმით. კომბინირებულ გამოცდაში თანაბრად (50/50-ზე) დაცული უნდა იყოს წერითი და ზეპირი ნაწილების ხვედრითი წილი.
7. თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შედეგი მათი შეფასებების საშუალო არითმეტიკულია.
8. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა.
9. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა, თუმცა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ზრდა დასაშვებია ცალკეულ სასწავლო კურსში, მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმების გზით, რაც ითვალისწინებს მინიმალური

კომპეტენციის ზრდის არგუმენტაციას და საჭიროების განსაზღვრას.

10. მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ზრდის საკითხის განსახილველად კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ზეპირი ფორმით კონსულტაციას გადის პროგრამის ხელმძღვანელთან. შეთანხმების შემთხვევაში სასწავლო კურსის ხელმძღვანელი საკუთარ მოსაზრებას წერილობითი ფორმით წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც აღნიშნულ საკითხს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, რის შემდგომაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს გადასცემს დასაბუთებულ პასუხს.

11. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით: დადებითი შეფასებები:

ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;

ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

12. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

13. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

15. სტუდენტის გამოცდაზე შეუფასებლობის საფუძვლებია:

ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;

ბ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან ჩანაწერების (ე.წ. ,,შპარგალკა”) გამოყენება;

გ) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა, შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, დეკანის თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 20. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია

ა) 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს, კიდევ ერთხელ, იმავე სასესიო პერიოდში, ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე.

ბ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი.

გ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, პროექტის/ნაშრომის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

დ) ძირითად და დამატებით გამოცდაზე დადასტურებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშნვა.

მუხლი 21. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) შესრულების წესი

1. ბაკალავრიატში კვლევითი კომპონენტის შესრულებისა და შეფასების საკითხები, ასევე მის შესრულებაზე ხელმძღვანელ პირს/პირებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, ცალკეული პროგრამის შესაბამისად.
2. ბაკალავრიატში შესრულებული კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსის ტოლფას კვლევით კომპონენტს და მას არ აქვს საკვალიფიკაციო მნიშვნელობა.
3. ბაკალავრიატის კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელ(ებ)ი უნდა იყოს ამავე საბაკალავრო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი. ერთი და იმავე პირმა ერთი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 კვლევით კომპონენტს.
4. ბაკალავრიატის კვლევითი კომპონენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:
   ა) ნაშრომის თავფურცელი;
   ბ) ანოტაცია;
   გ) სარჩევი;
   დ) შესავალი;
   ე) ნაშრომის ძირითადი ნაწილი;
   ვ) დასკვნა;
   ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
   თ) დანართები/დამხმარე მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში).

6. ნაშრომის სტრუქტურა:

6.1 თავფურცელი (სატიტულო გვერდი) შემდეგი წესების დაცვით უნდა შეივსოს:

ა) ზედა ნაწილში უნივერსიტეტის სრული დასახელება - ა(ა)იპ საქართველოს

საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, მას მოსდევს ფაკულტეტის დასახელება (12-იანი ზომის შრიფტით); ბ) სტუდენტის გვარი და სახელი (14-იანი ზომის შრიფტით);

გ) გვერდის შუა ნაწილში ნაშრომის სათაური (14-იანი ზომის შრიფტით), არ მიეწერება სიტყვა ,,თემა" და სათაური ბრჭყალებში არ ჩაისმება) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

დ) ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა;

ე) გვერდის ქვედა, შუა ნაწილში წარწერა ხიჭაური და ნაშრომის შესრულების წელი (სიტყვა ,,წელი"-ს გარეშე).

ვ) ანოტაცია მოკლედ უნდა ასახავდეს თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, ძირითად შედეგებსა და სიახლეებს. ანოტაცია (ქართულენოვანი) არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს და განთავსდეს თავფურცლის მომდევნო გვერდზე;

ზ) სარჩევში უნდა მიეთითოს ნაშრომის შესავალი, ყველა თავისა თუ პარაგრაფის დასახელება, ასევე „დასკვნა" და „გამოყენებული ლიტერატურა" გვერდების მინიშნებით;

თ) შესავალი ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, საკვლევი საგნისა და პრობლემების ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი, საკითხის შესწავლის მდგომარეობა;

ი) ნაშრომის ძირითადი ნაწილი იყოფა თავებად და ქვეთავებად, რომლებიც დაინომრება თანმიმდევრულად და აიწყობა 12-იანი ზომის გამუქებული შრიფტით (მხოლოდ სათაურები). საჭიროების შემთხვევაში სქოლიო მიეთითება გვერდის ბოლოში 10- იანი ზომის შრიფტით;

კ) ტექსტში წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას ფრჩხილებში ჩაისმება ავტორის გვარი, გამოცემის წელი და გვერდები (მაგ: წერეთელი,1870:10-25);

ლ) დასკვნაში აისახება კვლევის ძირითადი შედეგები, მათი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოყენების სფერო;

მ) დანართები/დამხმარე მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში) დაინომრება და მიეთითება სარჩევში.

6.2. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ფორმდება შემდეგი წესით

ა) ლიტერატურა ლაგდება ანბანური წესით, გვარების მიხედვით და განთავსდება ნაშრომის ბოლოს;

ბ) ანბანურ ჩამონათვალში ჯერ მიეთითება ქართულენოვანი ლიტერატურა, ხოლო შემდეგ, უცხოენოვანი - ლათინური ანბანით დალაგებული;

გ) წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას დასახელდება ავტორის გვარი და ინიციალები, სახელწოდება, გამოცემის ადგილი და თარიღი;

დ) სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას - ავტორის გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, პუბლიკაციის ორგანოს სრული აბრევიატურა, გამოსვლის წელი, ნომერი/ტომი;

ე) ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორი (გვარი,

ინიციალები), გამოცემის წელი, სტატიის დასახელება, ელექტრონული გამოცემის დასახელება, გამოცემის ნომერი, თავი, პარაგრაფი, ვებ-გვერდის მისამართი;

ვ) ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა-ცხრილები, დიაგრამები, პარადიგმები, სურათები უნდა გადაინომროს.

ზ) ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე და მისი დაცვაც ქართულ (სახელმწიფო) ენაზე უნდა განხორციელდეს.

მუხლი 22. კვლევითი კომპონენტის გაფორმება და შეფასება.

1. კვლევითი კომპონენტის მოცულობა:

ა) არანაკლებ 25 გვერდისა, ზედა ზღვარი რეგულირდება დარგის სპეციფიკის შესაბამისად;

ბ) ტექსტი უნდა აიკრიფოს A-4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე, შრიფტი - Sylfaen;

გ) ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11;

დ) სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,5;

ე) ფურცლის მინდვრები: ყველა ველი 2,54 სმ. ვ) დასრულებული სახე - ყდაში აკინძული;

2. კვლევითი კომპონენტი ფასდება ამ წესის „მუხლი 19"-ის პირობების შესაბამისად, 100 ქულიანი შეფასებით.

3. კვლევითი კომპონენტის დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმუმი 40 ქ.):

1. საკვლევი საკითხის აქტუალობის და კვლევის მიზნების ჩამოყალიბება - 15 ქ.
2. ლოგიკა და არგუმენტირებული მსჯელობა – 10 ქ.
3. დისკუსიაში ჩართვა (კითხვებზე პასუხის გაცემა) – 10 ქ,
4. ნაშრომის ენობრივი და ტექნიკური გამართულობა – 5 ქ.

მუხლი 23. ფინანსური პირობები

1. ა(ა)იპ , , საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლოუნივერსიტეტში" სწავლა უფასოა აკადემიური განათლების ყველა საფეხურზე. გადახდას ექვემდებარება, მხოლოდ აკადემიური დავალიანების მქონე საგნის ხელახალი გავლა (შესაბამისი კრედიტის ღირებულება) და განმეორებით გამოცდაზე გასვლა.
2. აკადემიური დავალიანებით წარმოშობილი გადასახადი განისაზღვრება ECTS კრედიტის ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 24. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

1. აკადემიური უმაღლესი განათლების ამა თუ იმ საფეხურისთვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტის შესრულებისა და სრული ფინანსური ანგარიშსწორების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება სათანადო აკადემიური ხარისხი და მასზე გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართითურთ.

2. ფაკულტეტის საბჭო უზრუნველყოფს აკადემიური განათლების ყველა საფეხურის აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭებას.
3. აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს „ტბელის უნივერსიტეტი“-ს აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული სპეციალისტი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი.
3. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის შემუშავებისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
4. საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები იხ. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“.

მუხლი 26. გამოცდების ჩატარების წესები

1. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში გამოცდა მიმდინარეობს ზეპირი ან/და წერითი ფორმით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
2. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის შემუშავებისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
3. ელექტრონული სახით გამოცდა მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში კომპიუტერის საშუალებით, სადაც მოცემულია შესაბამისი საგნის ტესტები, რომელსაც უნდა უპასუხოს სტუდენტმა.
4. ელექტრონული სახით გამოცდის მიმდინარეობისას თითო კომპიუტერთან უნდა

იჯდეს, მხოლოდ ერთი სტუდენტი.

5. წერითი სახით გამოცდის ჩატარებისას თითო მაგიდასთან უნდა იჯდეს, მხოლოდ ერთი სტუდენტი.
6. სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ.
7. საგამოცდო დრო აითვლება მას შემდეგ, რაც სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ.
8. თუ სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში აკადემიური აქტიურობით ვერ დააგროვა მინიმალური, ზღვრული 21 ქულა, მაშინ იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
9. გამოცდის მსვლელობისას, ქცევის წესების დარღვევისათვის სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.
10. გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია:
    ა) გამოცხადდეს დანიშნულ დროს;
    ბ) დაიცვას სიჩუმე და წესრიგი;
    გ) გამოცდაზე იმოქმედოს გამოცხადებული ინსტრუქტაჟის მიხედვით;
    დ) საგამოცდო დავალების შესრულების შემდეგ უხმაუროდ დატოვოს აუდიტორია.
11. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტს ეკრძალება:
    ა) აუდიტორიიდან გასვლა;
    ბ) მობილური ტელეფონის გამოყენება; გ) დამხმარე ჩანაწერის გამოყენება;
    დ) გადალაპარაკება;
    ე) ინფორმაციის გაცვლა.
12. გამოცდის შედეგები სტუდენტს უფიქსირდება ზეპირი გამოცდის დასრულებისთანავე, ხოლო წერითი გამოცდის შედეგები ეცნობება 4 სამუშაო დღის შემდეგ.

მუხლი 27. აკადემიური პერსონალი

1. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი და ასისტენტი.
2. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში აკადემიური თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობს მოწვეული პერსონალი – მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი.
3. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება, მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
4. აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით.
5. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში კონკურსის ჩატარების თარიღი და სხვა აუცილებელი პირობები, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო ბეჭდურ მედიაში ქვეყნდება ინფორმაცია კონკურსის შესახებ, მხოლოდ ვადებისა და ვებ-გვერდის მითითებით.
6. აკადემიური პერსონალის არჩევნები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად დადგენილი წესით.

7. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლი წლის დასაწყისში წარმოადგინოს ოფიციალური ცნობა სხვა უსდ-ში არსებული დატვირთვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 28. პროფესორი

1. პროფესორი უძღვება სასწავლო პროცესს, სტუდენტების პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. პროფესორი ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროგრამას და პასუხისმგებელია შესაბამისი მიმართულების პროგრამის ხარისხზე, მისი მიმდინარეობის ადეკვატური ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფაზე და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაზე, ის ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მუხლი 29. ასოცირებული პროფესორი

1. ასოცირებული პროფესორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად უნივერსიტეტში წარმართავს პროგრამის კომპონენტებს, ასევე, რექტორის მითითებით შესაძლებელია ხელმძღვანელობდეს პროგრამას. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას.

მუხლი 30. ასისტენტ პროფესორი

1. ასისტენტ-პროფესორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

მუხლი 31. ასისტენტი

1. ასისტენტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ- პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 32. მოწვეული სპეციალისტი

1. „ტბელის უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
2. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ფასდება პირის აკადემიური ხარისხით,

მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან/და პროფესიული გამოცდილებით.

3. მოწვეულ სპეციალისტთან ფორმდება ხელშეკრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. „ტბელის უნივერსიტეტში“ მოწვეული პერსონალი ვალდებულია სასწავლი წლის დასაწყისში წარმოადგინოს ოფიციალური ცნობა სხვა უსდ-ში არსებული დატვირთვის შესახებ.
5. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, პუბლიკაციები ან/და პროფესიული გამოცდილება.
6. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში, შეიძლება იყოს ჩართული მკვლევარი.